



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება: 48.48210042

თარიღი: 04/01/2021

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N812 დადგენილების საფუძველზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 დეკემბრის N812 დადგენილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილება არ გავრცელდეს:

ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურზე (ნ. ჩაკვეტაძე), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემა.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურზე (მ. ჩხეიძე), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს გადაუდებელი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაცია.

გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოების განყოფილებაზე (ო.კირტავა), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს სოციალური დახმარების მიმართულებით შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარების უწყვეტობა.

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებაზე (ა. გელენიძე), რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის შესყიდვების უწყვეტობა.

ე) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წყალტუბოს



